რემედიაციული პროგრამის გაუმჯობესება I-IV კლასებში მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის გზით

ლიკა ჭანუყვაძე, მათე ჯიქია, ვერიკო მრელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

ზერიკა შუკაკიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

მადლობა

მადლობას ვუხდით, სსიპ ქალაქ რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო გავაშელს, გაწეული დახმარებისა და აქტიური თანამშრომლობისათვის. ასევე მადლობას ვუხდით დაწყებითი საფეხურის I-IV კლასში შემსვლელ ყველა პედაგოგს, რომლებმაც აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.

მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ბატონ ბერიკა შუკაკიძეს და სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრატორებს, რომლებიც აქტიურად გვაძლევდნენ რეკომენდაციებს და გვეხმარებოდნენ კვლევის ეტაპების სწორად წარმართვაში.

განაცხადი

„წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მათე ჯიქია

ლიკა ჭანუყვაძე

ვერიკო მრელაშვილი

30/06/2025

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სსიპ ქალაქ რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის #2 საჯარო სკოლაში არსებული სარემედიაციო პროგრამის სწავლების გამოცდილების აღწერა, პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის გზით, არსებული სარემედიაციო პროგრამის გაუმჯობესება. კვლევის დიზაინად შეირჩა პრაქტიკის კვლევა და პროცესში ამავე სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლები ჩავრთეთ. პრობლემის დიაგნოსტირება ფოკუს-ჯგუფით, ჩაღრმავებული ინტერვიუებით, გაკვეთილზე დაკვირვებითა და სკოლის დოკუმენტაციის კვლევით დავიწყეთ. პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოქმედი სარემედიაციო პრაქტიკა ფრაგმენტული და ზოგადი იყო, არ ერგებოდა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს კლასში და მასწავლებლებიდანაც მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა რემედიაციის პროცესებზე ინფორმაცია, რადგან ამ კონცეფციაზე წარმოდგენა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ ცოდნა და უნარები აკლდათ. ამის გამო გადავწყვიტეთ დაგვეგეგმა მათ საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციები.

კვლევის ფარგლებში განვახორციელეთ სამი ინტერვენცია: (1.) თეორიული ტრენინგი რემედიაციის საფუძვლებზე, რომელსაც თან ახლდა ყოველდღიურ საკლასო პრაქტიკაში გამოყენების ქეისები; (2.) პრაქტიკული ვორქშოპი ხელოვნური ინტელექტის

ხელსაწყოების რემედიაციის პროცესში ინტეგრაციის შესახებ და (3.) ვიდეო-გზამკვლევები, რომლის მიზანიც იყო მასწავლებელთა მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია და უნარების განმტკიცება. მოკლედ რომ ვთქვათ, პროფესიული მხარდაჭერა იმისთვის, რომ შემდეგ წლებში უკეთ შეძლებოდათ მოსწავლეთა რემედიაციული საჭიროებების იდენტიფიცირება და მიზნობრივი მხარდაჭერა. კვლევის ინტერვენციების გაზომვისთვის გამოვიყენეთ ინსტრუმენტები - კითხვარი და ინდივიდუალური შეხვედრები მასწავლებლებთან, რომლის დროსაც მათთან ერთად კიდევ ერთხელ გავიარეთ და შევქმენით სარემედიაციო სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელსაც სკოლა მომავალშიც გამოიყენებს.

ლიტერატურის მიმოხილვისას ვისაუბრეთ რემედიაციული სწავლების საჭიროებებზე, არსებულ თანამედროვე კვლევებზე, განვიხილეთ ლევ ვიგოცკის სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიისა და უახლოესი განვითარების ზონის (ZPD)-ის პრინციპები, ასევე ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების მოდელი და SOLO ტაქსონომიის მიხედვით მიმოვიხილეთ რემედიაციული პროგრამის საჭიროება და მიზნობრიობა.

კვლევაში დაგეგმილი ინტერვენციები დავაფუძნეთ პროექტზე დაფუძნებული სწავლის PjBL-ის მოდელს, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზაზე გამოვიყენეთ, როგორც პრაქტიკული, თანამშრომლობითი, გამოწვევების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტიური პროცესი.

იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ უწყობს ხელს სარემედიაციო პროგრამის ეფექტიანობის ზრდას მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მათთვის ტექნოლოგიური, პრაქტიკული რესურსების მიზნობრივი მიწოდება, წარმოგიდგენთ ჩვენი კვლევის მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

საძიებო სიტყვები: „მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა“, „რემედიაცია“, „ხელოვნური ინტელექტი“, „სოციალური კონსტუქტივიზმი“, „SOLO ტაქსონომია“.